ხელშეკრულება სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ №89

ქ. თბილისი 1 ოქტომბერი 2013 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ბესიკ ბარნოვი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ბესიკ ბარნოვის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ი/მ ბესიკ ბარნოვის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, დებენ წინამდებარე სახლმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების (ლადო გუდიაშვილის ქ.№7–ში მდებარე ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსის სარდაფის სართულზე სამკითხველო დარბაზის სამშენებლო–სარემონტო სამუშაოები) შესყიდვა (CPVკოდი – 45300000)–შემდგომში მიწოდება, რომელიც აღნიშნულია მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ ტექნიკურ დავალებაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3449** (სამი ათას ოთხას ორმოცდაცხრა) **ლარს**.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. სტანდარტები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოებისა და სამშენებლო–სარემონტო მასალების ხარისხის შესაბამისობა არსებულ სტანდარტებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მიმდინარეობისას გამოიყენოს მხოლოდ ახალი, პირველადი გამოყენების მასალა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მიწოდების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი სამუშაოს შემოწმებას და მიღება–ჩაბარებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება.

5.5.შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს–კობა ლომიძეს.

6.მხარეთა უფლება– მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– შემსყიდველს მიაწოდოს შესრულებული სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

8. კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს – ზურაბ გაბუნიას.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ

ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული იქნება საქართველოში მოქმედი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

10.2. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა ვრცელდება საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

10.3. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია მიღებული შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე სახის დანახარჯების გაწევის გარეშე.

10.4. „მიმწოდებლის“ მხრიდან საგარანტიო პირობების დარღვევის ან/და პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ფორს– მაჟორი

11.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13.3 . ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

13.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

13.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს პარლამენტის	ი/მ ბესიკ ბარნოვი
ეროვნული ბიბლიოთეკა	მისამართი: ქ. თბილისი,
ქ. თბილისი	ვაგზლის მოედანი–2
ლადო გუდიაშვილის ქ. №7	ტელ:597090393
ს/კ 203845018	ს/კ: 01024013046
ტელ: 2971661	ს.ს. "ბაზის ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: CBASGE22
ანგ.№200122900	ა/ა GE95BS0000000057036005

გენერალური დირექტორი

გიორგი კეკელიძე

ინდ.მეწარმე

ბესიკ ბარნოვი